

დანართი 8 დამტკიცებულია

თსსუ-ის წარმომადგენლობითი
საბჭოს 2012 წლის 25 ივლისის
#23/6 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტურაში პროფესიული მზადებისა და შეფასების წესი

მუხლი 1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებში სპეციალობის მაძიებელთა პროფესიული მზადება წარიმართება „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის # 135/ნ ბრძანების, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესის, თსსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებში სპეციალობის მაძიებელთა პროფესიული მზადება ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული აკრედიტაციისა და პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ დამტკიცებული ლიმიტის (კვოტის) ფარგლებში ცალკეული საექიმო სპეციალობების მიხედვით. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარიცხვა ხორციელდება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სარეზიდენტო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 3. სპეციალობის მაძიებელთან, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად ჩარიცხება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

მუხლი 4. სარეზიდენტო პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს აკრედიტებულ საუნივერსიტეტო კლინიკებსა და უნივერსიტეტთან აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

მუხლი 5. პროგრამის დასრულებისა და წარმატებით ჩაბარებული შემაჯამებელი ტესტური გამოცდის (მუხლი 13) შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხულ რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს ეძლევა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 6. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სარეზიდენტო პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან - პროგრამის დირექტორი/ხელმძღვანელი, მოდულზე პასუხისმგებელი პირი, რეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი.

პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე წესით.

მუხლი 7. პროგრამის დირექტორი/ხელმძღვანელი:

ა) განსაზღვრავს სარეზიდენტო პროგრამებზე მისაღებ კონტიგენტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შესაბამისი წერილის წარდგენით;

ბ) მონაწილეობს საექიმო სპეციალობის მაძიებელთა გასაუბრების პროცესში (საჭიროების შემთხვევაში);

გ) განსაზღვრავს სარეზიდენტო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებსა და მოდულზე პასუხისმგებელ პირებს .თბილისის სახელმწიფო

სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტში შესაბამისი წერილის წარდგენით;

დ) განსაზღვრავს მოდულს და/ან მოდულებს, რომლებიც რეზიდენტმა/სპეციალობის მაძიებელმა განმეორებით უნდა გაიაროს წლიური და/ან შემაჯამებელი შეფასების უარყოფითი შედეგის შემთხვევაში;

ე) უზრუნველყოფს რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს კურიკულუმის შესაბამისი სამუშაო გრაფიკით (გეგმა-გრაფიკი) და პროგრამული საკითხების ათვისებისათვის კვალიფიციური კონსულტაციით;

ვ) გასცემს დასკვნას რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მივლინების პერიოდში შესრულებული სამუშაოს სარეზიდენტო პროგრამის ნაწილად ჩათვლის შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს ტესტური გამოცდისათვის ტესტების განახლებას, რედაქტირებას და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში წარდგენას წინმდებარე წესის დანართი 1-ის შესაბამისად.
(27/03/2019წ N23/4)

თ) გასცემს რეკომენდაციას პროგრამის გაგრძელებისა და/ან დასრულების შესახებ რეზიდენტის დღიურში სათანადო ჩანაწერის აღნიშვნით;

ი) ახორციელებს კონტროლს სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებულ სამუშაოს მოცულობასა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე დადგენილი წესის შესაბამისად;

კ) ატარებს რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის ყოველწლიურ შეფასებას მოდულზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით;

ლ) ზედამხედველობას უწევს მოდულზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობას;

მ) აღძრავს შუამდგომლობას რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე (მუხლი 11, პ."დ"-“ე”) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 8. მოდულზე პასუხისმგებელი პირი:

ა) მონაწილეობს რეზიდენტურაში მიღებისას საექიმო სპეციალობის მაძიებელთა გასაუბრების პროცესში (საჭიროების შემთხვევაში);

ბ) მონაწილეობს ტესტირებული გამოცდისათვის ტესტების რედაქტირებასა და განახლებაში;

გ) სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობისათვის სამუშაო ადგილის გამოყოფასა და მოდულით გათვალისწინებული სასწავლო მასალაზე ხელმისაწვდომობას;

დ) ახორციელებს კონტროლს რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის დასწრებაზე, შეფასებაზე, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე, რასაც ადასტურებს რეზიდენტის დღიურში ხელმოწერით;

ე) უზრუნველყოფს პროგრამის დირექტორისთვის წერილობითი სახით ინფორმაციის მიწოდებას რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ მოდულზე გამოუცხადებლობის და/ან 1 თვის განმავლობაში არასაკმაყოფილო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში;

ვ) უზრუნველყოფს მოდულის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის დროულად წარდგენას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტში;

ზ) სამუშაო ადგილის შეცვლის შემთხვევაში ვალდებულია დროულად წარადგინოს ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტში.

მუხლი 9. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის უფლება/მოვალეობები:

9.1. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება. მზადების პროცესში მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა: მოდულით განსაზღვრული პრაქტიკული საქმიანობისათვის სასწავლო მასალაზე ხელმისაწვდომობა, ისარგებლოს უნივერსიტეტის/დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, მათ შორის კლინიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

ბ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო (სარეზიდენტო) პროგრამების შესახებ;

გ) მოითხოვოს სამართლიანი შეფასება. არადაამაკმაყოფილებელი საგამოცდო შეფასებისას მოითხოვოს შედეგის გადახედვა;

დ) მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ წერილობით აცნობოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელობას;

ე) ისარგებლოს მივლინებით. პროგრამის დირექტორის დასკვნის საფუძველზე მივლინებაში ყოფნის პერიოდი შესაძლებელია ჩაეთვალოს სარეზიდენტო პროგრამის შემადგენელ ნაწილად;

ვ) ისარგებლოს აკადემიური შვებულებით.

9.2. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის/სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი;

გ) შეასრულოს დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;

დ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის დირექტორს წარუდგინოს გაწეული მუშაობის ანგარიში, გაიაროს ეტაპობრივი, შუალედური და შემაჯამებელი გამოცდა;

ე) მეცადინეობის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, წინასწარ აცნობოს ხელმძღვანელს და წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა (დოკუმენტაცია);

ვ) რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია, მის მიერ განხორციელებულ/შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოოს დღიური.

მუხლი 10. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეჩერება:

10.1. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება აკადემიურ შვებულებაზე;

ბ) უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებელი მიზეზით – აკრედიტაციით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, დაწესებულების მისამართის შეცვლის გამო აკრედიტაციის შეჩერება;

გ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

დ) მზადების საფასურის გადაუხდელობა არა უმეტეს 6 თვის ვადისა. (#23/2 დადგენილება 29.04.2013)

ამ მუხლის "ბ" პუნქტით შეჩერებული სტატუსის აღდგენა მოხდება დაწესებულებისათვის აკრედიტაციის აღდგენისთანავე.

10.2. რეზიდენტ/სპეციალობის მაძიებელს აკადემიური შვებულება ეძლევა:

ა) მძიმე ავადმყოფობის მიზეზით;

ბ) ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო;

გ) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის მიზნით;

დ) სხვა საპატიო მიზეზის გამო.

10.3. სტატუს შეჩერებული რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლას აგრძელებს იმ სასწავლო გეგმით საიდანაც შეუჩერდა სტატუსი.

10.4. რეზიდენტთან/სპეციალობის მაძიებელთან სტატუსის შეჩერების შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი წესით სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება იმ ტარიფის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა რეზიდენტთან ხელშეკრულების დადების დროს.

10.5. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს არაუმეტეს სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობის 1/2 -ის ვადით.

მუხლი 11. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პროგრამის დასრულება;

გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

დ) შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამის მოთხოვნის შეუსრულებლობა-ვერდაძლევა;

ე) რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ 1 თვის განმავლობაში არასაკმატო მიზეზით მოდულზე გამოუცხადებლობა;

ვ) რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეჩერებიდან სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობის 1/2 -ის ვადის გასვლა;

ზ) გარდაცვალება.

თ) მზადების საფასური გადაუხდელობა 6 თვეზე მეტი ვადით. (#23/2 დადგენილება 29.04.2013)

ამ მუხლის ა, გ, ე, ვ, პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დროს რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს ეძლევა ცნობა, მის მიერ სასწავლო კურსის იმ ნაწილის გავლის თაობაზე, რომელშიც მან მიიღო დადებითი შეფასება.

მუხლი 12. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის უფლება/მოვალეობები:

ა) უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების სარეზიდენტო პროგრამების სააკრედიტაციოდ მომზადებას;

ბ) ახორციელებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების სისტემის ორგანიზაციული განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების მომზადებას;

გ) უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებისა და უნივერსიტეტთან აფილირებული სამედიცინის დაწესებულებების სააკრედიტაციო დოკუმენტების მომზადებასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენას;

დ) უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების სისტემის ორგანიზაციული დოკუმენტების მომზადებას და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე დასამტკიცებლად წარდგენას;

ე) ახორციელებს რეზიდენტურაში მისაღებ პროცესს. სარეზიდენტო პროგრამების კურიკულუმის განსაზღვრასთან დაკავშირებული რეკომენდაციების

მომზადებას და მოთხოვნისამებრ წარდგენას. რეზიდენტთა/სპეციალობის მაძიებელთა პროფესიული მზადების ინდივიდუალური გეგმაგრაფიკების ექსპერტიზას;

ვ) აწარმოებს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილე რეზიდენტთა/სპეციალობის მაძიებელთა რეესტრს და უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას;

ზ) ორგანიზაციას უწევს პროგრამის დირექტორთა და მოდულზე პასუხისმგებელ პირთა პერიოდულ შეხვედრებს, რეზიდენტთა/სპეციალობის მაძიებელთა პროფესიული მზადების შედეგების განხილვის მიზნით;

თ) მეთვალყურეობას უწევს რეზიდენტთა/სპეციალობის მაძიებელთა ზეპირ და ტესტურ შეფასებას;

ი) უზრუნველყოფს რეზიდენტურის პროგრამის დასრულების შესახებ მოწმობების გაცემას.

მუხლი 13. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებელის შეფასება:

1. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უტარდება ეტაპობრივი, შუალედური და შემაჯამებელი შეფასება.

2. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს შეფასება ხორციელდება:

ა) ეტაპობრივი – ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ.

ა.ა) მოდულის დასრულების შემდეგ (ეტაპობრივ) შეფასებას ატარებს მოდულზე პასუხისმგებელი პირი მოდულის პროგრამით დადგენილი წესით. ჩათვლა/არჩათვლის პრინციპით. შეფასების შედეგები ფიქსირდება შეფასების ფორმაში, რომელსაც ხელს აწერს პროგრამის დირექტორი.

ბ) შუალედური – მზადების ყოველი წლის დასრულების შემდეგ.

ბ.ა) მზადების ყოველი წლის დასრულების შემდეგ შეფასება ტარდება II ეტაპად

I. ზეპირი გასაუბრება პროგრამის დირექტორთან. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ხელახალი გასაუბრება უნდა განხორციელდეს ორი კვირის შემდეგ.

II. ტესტირებული გამოცდა (100 ტესტი) უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში. თითო ტესტის სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი

0 ქულით.

რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი, რომელიც ტესტურ გამოცდაზე დააგროვებს 75%-100% შეფასდება დადებითად.

რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი, რომელიც მიიღებს 60%–74% შეფასებას, მიეცემა გამოცდაზე გასვლის უფლება განმეორებით, მხოლოდ 2-ჯერ.

რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს, რომელიც მიიღებს 60% ნაკლებ შეფასებას, პროგრამის ხელმძღვანელი მასთან შეთანხმებით განუსაზღვრავს მას მოდულს/მოდულებს, რომელიც უნდა გაიაროს განმეორებით. მოდულების თავიდან გავლის შემდეგ, მას ეძლევა შესაძლებლობა გავიდეს ტესტურ გამოცდაზე არაუმეტეს 2-ჯერ.

თუ რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ტესტურ გამოცდაში მაინც მიიღებს დაბალ შეფასებას, ასეთ შემთხვევაში რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს შეუწყდება სტატუსი. (მუხ.11; პ.“დ“).

გ) შერეული – საბოლოო შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგ.

გ.ა) სარეზიდენტო პროგრამის დასრულების შემდეგ, შერეული შეფასება ტარდება II ეტაპად

I. ზეპირი გასაუბრება პროგრამის დირექტორთან. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ხელახალი გასაუბრება უნდა განხორციელდეს ორი კვირის შემდეგ.

II. ტესტირებული გამოცდა (200 ტესტი) უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში. თითო ტესტის სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი

0 ქულით.

ტესტური გამოცდა გავლილად ჩაითვლება თუ რეზიდენტმა/სპეციალისტმა მაძიებელმა მიიღო 75%-100%.

რეზიდენტს/სპეციალისტს მაძიებელს, რომელიც მიიღებს 60%–74% შეფასებას, განმეორებით მიეცემა გამოცდაზე გავლის უფლება, არაუმეტეს 2-ჯერ.

რეზიდენტი/სპეციალისტის მაძიებელი, რომელიც მიიღებს 60% ნაკლებ შეფასებას, პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელობა მასთან შეთანხმებით განუსაზღვრავს მას მოდულს/მოდულებს, რომელიც უნდა გაიაროს განმეორებით. მოდულების თავიდან გავლის შემდეგ, მას ეძლევა შესაძლებლობა გავიდეს ტესტურ გამოცდაზე მხოლოდ 2-ჯერ.

თუ რეზიდენტი /სპეციალისტის მაძიებელი ტესტურ გამოცდაში მაინც მიიღებს დაბალ შეფასებას, ასეთ შემთხვევაში რეზიდენტს/სპეციალისტის მაძიებელს შეუწყდება სტატუსი ამ წესის მე-11 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად და მასზე გაცემა ცნობა სასწავლო კურსის მოსმენის თაობაზე.

3. აპელაცია

რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი უფლებამოსილია, არადამაკმაყოფილებელი საგამოცდო შეფასების შემთხვევაში, მიმართოს სააპელაციო კომისიას გამოცდის დამთავრებიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები:

ა) ამ წესის მე-13 მუხლით განსაზღვრული შეფასების წესი ვრცელდება იმ რეზიდენტებზე/სპეციალობის მაძიებლებზე, რომლებმაც მზადება დაიწყო 2011 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ბ) ამ წესის მე-13 მუხლით განსაზღვრული შეფასების წესი არ ვრცელდება სტომატოლოგიური სპეციალობის რეზიდენტებზე, რომლებსაც დაწყებული აქვთ მზადება ამ წესის ამოქმედებამდე.

დანართი 1

(27/03/2019წ N23/4)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში საგამოცდო ტესტების წარდგენის ვადები და ფორმა

- საგამოცდო ტესტები გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრს წარედგინება გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 72 საათისა;
- ტესტები უნდა აიკრიფოს ქართული უნიკოდით, 1 ინტერვალით, ფორმატირების გარეშე;
- ტესტის შეკითხვა აღინიშნება 4 დახრილი ხაზით - \\\
- ტესტის არასწორი პასუხი აღინიშნება 3 დახრილი ხაზით - \\\
- ტესტის სწორი პასუხი აღინიშნება 2 დახრილი ხაზით - \\\
- ტესტის პასუხების რაოდენობა - 4-5;
- დახრილი ხაზები ტექსტიდან გამოიყოფა 2 ცარიელი სივრცით (Spacebar -ით);
- ტესტებს შორის გამოტოვებული უნდა იყოს 1 ცარიელი სტრიქონი (Enter--ით);
- ტექსტი არ უნდა შეიცავდეს ბერძნული ანბანის სიმბოლოებს (α, β, γ და ა. შ.).